საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრები: კონსტანტინე გელაშვილი; ანა ხურციძე; მარიკა არევაძე; ქეთევან უტიაშვილი; ხათუნა ფურელიანი; ირაკლი კორძახია; ია გაბედავა; არჩილ ჩოფიკაშვილი; ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორები: ნ. მ., თ. ნ., ნ. მ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.10.2018

სჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 149/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჩ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ნ. მ.-მა, თ. ნ.-მ და ნ. მ.-მა, ხოლო 2018 წლის 12 ნოემბერს გამოცხადდნენ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და მოითხოვეს ადვოკატ ა. ჩ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2017 წლის 19 ივლისს ქ. თბილისში - ნ. მ.-ს, თ. ნ.-ს, ბმა ,,არაყიშვილის ქუჩა, ჩიხი პირველი N6"-ის თავმჯდომარეს - ე. ნ.-სა და ადვოკატ ა. ჩ.-ს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის

თაობაზე. ადვოკატი დაჰპირდა კლიენტებს, რომ სამართლებრივ დახმარებას გაუწევდა ქ. თბილისში, შ.რადიანის ქ.21-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან არსებულ ქონებრივ დავაზე შესაბამის სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებში.

1.3 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საადვოკატო მომსახურების საფასური 5000 ლარი. ადვოკატმა ა. ჩ.-მ, 2017 წლის 19 ივლისიდან 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით ნ. მ.საგან მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი - 3600 ლარი, აღნიშნული თანხა ერთობლივად შეაგროვეს ქუჩის მაცხოვრებლებმა.

1.4 საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ ადვოკატმა ა. ჩ.-მ შეადგინა ადმინისტრაციული სარჩელი და 2018 წლის 17 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ სარჩელზე დაადგინა ხარვეზი. ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. 2018 წლის 07 მაისის განჩინებით, ხარვეზის შესავსებად მოცემული ვადა გაგრძელდა 10 დღით. ასევე, 2018 წლის 25 მაისის განჩინებით, ადვოკატის განცხადების საფუძველზე სასამართლომ აღნიშნული ვადა გააგრძელა 7 დღით. ა. ჩ.-მ ამ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით, სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი განაცხადა.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, რადგან ამავე ქუჩაზე შვეიცარიის საელჩოს სარჩელის საფუძველზე მაღალსართულიანი სახლი არ აშენდებოდა, ადვოკატმა მათ ურჩიათ, რომ აღარ სჭირდებოდათ ადვოკატი და უკან დაუბრუნებდათ იურიდიული მომსახურების გაწევისათვის გადახდილ თანხას. მიუხედავად ამისა, ადვოკატს მათთვის თანხა არ დაუბრუნებია და არც მათ ზარებს პასუხობს, ასევე შეიცვალა მისამართი და ვეღარ უკავშირდებოდნენ. საჩივრის ავტორმა ნ. მ.-მა 2018 წლის 8 აგვისტოს განცხადებით მიმართა პოლიციას, რათა დახმარებოდნენ ადვოკატთან დაკავშირებაში. პოლიციაში ადვოკატმა აღიარა, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის მიიღო 3600 ლარი და აგრეთვე ნ. მ.საგან პირადი მოხმარებისათვის სესხი, 1200 ევრო. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ ამ ეტაპზე თანხა არ ჰქონდა, მაგრამ როგორც კი ექნებოდა, მაშინვე დაუბრუნებდათ.

1.6 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ნ. მ.-მა განმარტა, რომ ადვოკატმა მისგან სესხის სახით 1200 ევრო წაიღო 2018 წლის 25 აპრილს და შეპირდა, რომ 3 დღეში დაუბრუნებდა. მას შემდეგ 6 თვის განმავლობაში, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ დღე-დღეზე დაუბრუნებდა თანხას და დღემდე არ დაუბრუნებია.

1.7 2019 წლის 07 ივნისისა და 2021 წლის 15 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა დამატებით განმარტეს, ადვოკატს მათთვის არ დაუბრუნებია საქმის საბუთები. ასევე, 2018 წლის 21 დეკემბრის სასამართლოს N2/33111-18 გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ჩ.-ს ნ. მ.ს სასარგებლოდ დაეიკისრა 3600 ლარის გადახდა. ამჟამად საქმე აღსრულების პროცესშია.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ ა. ჩ.-ს 2018 წლის 07 დეკემბერს ჩაბარდა საჩივარი და განესაზღვრა ვადა პოზიციის წარმოსადგენად. ადვოკატს წერილობითი განმარტება არ წარმოუდგენია. 2019 წლის 14 იანვარს, სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით ეთიკის კომისიის იურისტი დაუკავშირდა ადვოკატს და აცნობა საპროცესო კოლეგიის სხდომის თარიღი, ადვოკატმა

დაუდასტურა მას შეტყობინების მიღება, თუმცა იგი ეთიკის კომისიის სხდომაზე არ გამოცხადებულა. ადვოკატს ეცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის თაობაზე სატელეფონო შეტყობინების გზით და მან დაადასტურა სხდომაზე მონაწილეობა, თუმცა ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი შეუტყობინებია კომისიისათვის.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 04 თებერვალს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ა. ჩ.-ს არ შეუსრულებია მასსა და საჩივრის ავტორს შორის დადებული შეთანხმების პირობები, სარჩელზე არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად გაუშვა დადგენილი ვადა, არ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს მისი ადგილსამყოფელის შესახებ, არ პასუხობდა კლიენტის სატელეფონო შეტყობინებებს, არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარის ნაწილი და საქმის საბუთები და ისესხა ერთ-ერთი კლიენტისაგან - ნ. მ.-საგან - 1200 ევრო მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის პირველი დისციპლინური კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიის სხდომაზე შესაძლებელია დადასტურდეს ადვოკატის მხრიდან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რის გამოც ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 2021 წლის 03 ნოემბერს საჩივრის ავტორებმა ნ. მ.-მა, ნ. მ.-მა და თ. ნ.მ განცხადებით მომართეს ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითეს, რომ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ აღარ აქვთ პრეტენზია და სურთ, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

6.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №149/18 ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი:	/ხათუნა ფურელიანი/
კომისიის წევრი:	/ირაკლი კორძახია/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/არჩილ ჩოფიკაშვილი/
კომისიის წევრი:	/ბესარიონ ბოხაშვილი/